თბილისი
28

№ 16
იანვრის 21, სამშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 16
იანვრის 21, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, ქუთ. წიგნების გამომც. ამხანაგობის კიოსკში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: ავქსენტი ისიდორეს ძე ბიბილუასთან.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ზესტაფონში (ყვირილაში): ივანე დავითის ძე საყვარელიძესთან.
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:— ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი ვგერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

ფასი გაზეთისა 12 თვ. 10 მ., 11-თ—9 მ. 50 კ., 10-თ—8 მ. 75 კ., 9-თ—8 მ., 8-თ—7 მ. 25 კ., 6-თ—6 მ. 50 კ., 5-თ—5 მ. 50 კ., 4-თ—4 მ. 75 კ., 3-თ—3 მ. 50 კ., 2-თ—2 მ. 75 კ., 1-თ—1 მ. 50 კ.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—ნ.—78)

ისყიდება

ვერაზედ. სათავად-აზნაურო სკოლის შენობის პირდაპირ, სამოსახლო 300 საჟ.

მიწა

იკითხეთ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში შიო ქუჩუკაშვილთან და ან წიგ. გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ალექსანდრეს ბაღის თავში ელისაბედ მესხიშვილთან. (10—ნ.—2).

№ 32. ტელეფონი № 176

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 23 იანვარს, 1903 წ.

ნ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა

მელანიას ოინები

კომ. 4 მოქმ., ჰაუპტმანიდგან გადმოკ. კ. მესხის მიერ.

მონაწილეობას იღებენ—ქ-ბნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ოდ. დეჟავა, ნ. რიონელი, ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, ვ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, საფაროვი, რომანიშვილი, ჟღენტი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „**მიკუნჭული ბედნიერება**“, „ნორა“, „ორი დარაჯი“, „სიძე-სიმამრი“, „ჩატეხილი ხიდი“, „დარღვეული კერა“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფებს დილის 10—11 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ძ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.
ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გუმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12— საათ.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.
ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ტფილისი

✦ დღეს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგურში დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც მოისმენს ბ-ნ ტარატინოვის მოხსენებას „სამეურნეო მრეწველობის საჭიროებანი“.

✦ ბ-ნმა შან-გირეიმ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება „არხების გაყვანის შესახებ კავკასიაში“.

✦ შარშან ზაფხულს ვიღაც ავაზაკთა ბრბომ საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში გასტეხა და გასძარცვა ეკკლესიები. თუმცა ზოგიერთი ამ ვაჟბატონთაგანი პოლიციამ შეიპყრო, მაგრამ ბევრი დაკარგული ნივთეულობა დღემდე მაინც ვერ აღმოეჩინათ; პოლიციის დაუღალავმა თვალ-ყურის დევნამ არც თუ უნაყოფოდ ჩაიარა: ამ რამდენისამე დღის წინად ტფილისის მაზრის უფროსმა, ჟანდიერმა აღმოაჩინა, რომ ეს ნივთები ინახებოდა ავლაბარში მცხოვრების, ვიღაც ვართანიანცის სახლში; ვართანიანცს პოლიცია უცბად დაატყდა თავს და ვართანიანციც იძულებულ იყო განჯინიდგან გადმოელაგებინა ყველა ნივთი; აღმოჩნდა, რომ მომეტებული ამ ნაპოვნ ნივთებისა ეკუთვნის მამა ანტონი მონასტრის ეკკლესიას.

✦ ხვალ, 22 იანვარს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია ქალაქის მეშჩანთა საზოგადოების წევრთა კრება, რომელიც განიხილავს 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვას; მეშჩანთა მმართველობის შესანახად ამა 1903 წლის განმავლობაში ხარჯად დანიშნულია 4,000 მანეთი.

✦ პარასკევს, 24 იანვარს, ძმათა ნიკიტინების ცირკში დანიშნულია წარმოდგენა ტფილისის სკოლების ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

✦ დღეს ქალაქის მმართველობის სადგურში დანიშნულია ავლაბრისა და კუკიის საძოვარ ადგილების მეთვალყურე კომისიის წევრთა კრება.

✦ ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა სავალდებულო დადგენილებანი, რომელსაც წარუდგენს საბჭოს განსახილველად. ამ დადგენილებათა ძალით, არავის არ მიეცემა ნება გახსნას ყავახანა და მაგარ სასმელის დუქანი შემდეგ ქუჩებზედ: ლორის-მელიქოვისა, ერმოლოვისა, ლაბორატორის ქუჩაზედ, დაწყებული სოლოლაკიდგან მამადავითის მეიდნამდე; ბანკის ჩასახვევში, მთლად გოლოვინის პროსპექტზედ, ოლგას ქუჩიდგან ვერის დაღმართამდე ვორონცოვის მოედნიდგან მიხეილის პროსპექტზედ, დიდუბის ქუჩაზედ, ექსარხოსის მოედანზედ, კალიუჩისა და არტელლერიის ბალკებში და სუმბათოვის ჩასახვევში.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ხელმეორედ მიჰმართა კავკასიის მთავარ მართებელს: რადგანაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გამოფენის გამართვით დიდი ვალი დაიდო და მოვალეებიც თხოულობენ დაკმაყოფილებას, ამიტომ გთხოვთ იშუამდგომლოდ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებას ვალების გარდასახდელათ. ვალი კი, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, 1901 წლის გამოფენისა საზოგადოებას დარჩა 24000 მან.

✦ 7 იანვრიდგან ქალაქის საყასბოში უკვე შემოიღეს ღორის ხორცზედ ბეჭდის დარტყმა და ტყვიის პლომბის შებმა; ტყვიას ცალმხრივ აწერია: ტფილისის სასანიტარო განყოფილება და აღნიშნულია წელიწადიც, მეორეს მხრივ გამოხატულია ქალაქის გერბი.

✦ ქალაქის ღამის თავშესაფართა მეთვალყურე კომისიას ამ ჟამად უკვე შეუდგენია ამ 1903 წლის ხარჯთ აღრიცხვა თავშესაფარებისათვის; როგორც ხარჯთ-აღრიცხვიდგან სჩანს, ამ წელს თავშესაფარისათვის გარდუწყვეტიათ 6100 მანეთი, ესე იგი, 702 მან. მომეტებული წარსულ წლის ხარჯზედ. მოხსენებაში აღნიშნულია, სხვათა შორის, კომისიის დასკვნაც, რომლითაც იგი აცხადებს და აუცილებლად სცნობს, რომ საწოლი ტახტები მოემატოს თავშესაფარებშიო; კომისიამ აღნიშნა რომ 400 მანეთი აქედან გადიდოს საგანგებოთ საჭმელ-სასმელის გასაუმჯობესებლადაო, მოხსენებაშივე აღნიშნულია, რომ უნდა შეკეთდეს და გაფართოვდეს თავშესაფარნიო.

✦ პირველ თებერვალს დანიშნულია ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება.

✦ როგორც გვატყობინებენ, სამხედრო საქართველოს გზაზედ, წილკანსა და დუშეთს შუა, ისეთი დიდი თოვლი სძევს, რომ გზა შეკრულია. გზის გაწმენდას უკვე შესდგომიან.

✦ 24 თებერვალს გორში გაასამართლებენ მომრიგებელ-შუამავლის თავად. ვეზირიშვილის მკვლელთ. ეს კაცის-კვლა ხუთს კაცს ჰბრალდება. ამ ჟამად ბრალდებულნი გორის საპყრობილეში არიან დაპატიმრებულნი.

✦ ტფილისის ნოქართა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებასთან დაარსდა სამკითხველო საზოგადოების წევრთათვის.

✦ სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტის კრება დანიშნულია 21, 22, 23 და 24 იანვარს. პირველ თებერვალს კომიტეტის შრომა გაიგზავნება პეტერბურგში, სადაც გადაათვალიერებს განსაკუთრებული კომიტეტი სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა.

✦ ქალაქის საბჭომ დაავალა ქალაქის გამგეობას, შეიმუშავე შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქს აღარ ახდევინებდნენ პოლიციის შესანახ ფულსაო. ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა შუამდგომლობის შემუშავებას.

✦ კვირას, 26 იანვარს, დანიშნულია ტფილისის საგიმნასტიკო საზოგადოების მორიგი კრება, რომელიც შესდგება შუადღის 12 საათზედ ვაჟთა პირველ გიმნაზიის დარბაზში. კრება განიხილავს საზოგადოების საბჭოს ანგარიშს, მოხსენებას მდივნისა, ხაზინადრისა და გიმნასტიარხისას, აღმოირჩევს საზოგადოების თავმჯდომარეს, მის ამხანაგს, გიმნასტიარხს, საბჭოს წევრთ და სარევიზიო კომისიას. შემდეგ განიხილავს და დაამტკიცებს 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

◆ ჩვენ ხელში გვაქვს ახალი გამოცემანი ბ-ნ ლევიცკის Курсъ-ისა: მეოთხე გამოცემა პირველის ნაწილისა და მესამე—მეორისა. პირველი ამ დღეებში გამოსულა სტამბიდგან, მეორე—წარსულს შემოდგომაზედ. ის ადგილი, წიგნის ზედა პირისა, სადაც ბეჭდება ჩვეულებრივად მოწონება მთავრობის მიერ, ცარიელია ორსავე ნაწილში, და არც სხვა ადგილას არის ქაჩანება ამ მოწონებისა. აშკარაა, რომ ყოველს ცდას ავტორისას, რომ როგორმე მოაწონებინოს განათლების სამინისტროს თავისი სახელმძღვანელო, ამაოდ ჩაუვლია კიდევ და კიდევ. სამინისტროს ხელ-ახლად უარ-უყვია უკანასკნელი გამოცემანიც, თუმცა მათში ავტორს მოუხდენია ცვლილებანი. რაც შეეხება ადგილობრივს მთავრობას, მას აღკრძალული აქვს გამინჯოს და მოიწონოს წმინდა რუსული წიგნები, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ბ-ნ ლევიცკის ქმნილება, მაშასადამე, ამ კურსის ხმარება ჩვენებურს სკოლებში შეიძლება მხოლოდ კონტრაბანდად, და პირველ [illegible] უნდა აღიარებულ იქმნას ბ-ნი მაჭავარიანი, რომელიც ძალიან აჩერებს სკოლებში ამ Курсъ-ს, ყველასაგან უარყოფილსა და უვარგისად ცნობილს.

◆ ქალაქის სააუქციონო დარბაზის გამგეს, ბ-ნ ასლამაზოვს წარუდგენია მოხსენება გამგეობისთვის, რომ ის სახლი, სადაც ახლა მოთავსებულია დარბაზი, ხუსტიანთა და ამ მეზობის დაქირავების პირველ დღიდგანვე სახლის პატრონმა, ბ. ბებუთოვისამ, დაკეტა ორი ოთახი და არ გვაძლევს შესვლის ნებას და თითონ ხმარობსო, თუმცა ბებუთოვისას რამდენჯერმე მივმართე ამის შესახებაო, მაგრამ პასუხი არა გვღირსა-რაო.

◆ ქალაქის ხორცის დუქნების გამგემ, ბ-ნმა ალიხანოვმა, მიმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა: რადგანაც ხორცის დუქნების წლიურ ანგარიშის შესადგენად მჭირდება კიდევ, რამდენი შემოსავალია, ან გამოსავალია ქალაქის კასსიდგან დუქნებისათვის ფული, ამიტომ ვთხოვ გამგეობას, დაწყებული პირველ მარტიდგან, იანვრის პირველამდე, ეს ცნობანი ამოწერით დავთრიდგან და გადმომეცესო.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად ქალაქის ტეხნიკოსმა, ბ-ნმა ოჰანჯანოვმა გაჰგზავნა უწმინდურობის გასაწმენდათ ქალაქის მუშები მანქანებით, მიხეილის ქუჩაზედ, 225 სახლში, როცა მუშები საქმეს შეუდგნენ, ამ დროს მოვიდა ორი პოლიციის მოხელე და მუშებს საქმეზედ ხელი აალებინა, ბოქაულმა გვიბრძანა დღით უწმინდურობის გაწმენდა აღკრძალულიაო; ბ-ნ ოჰანჯანოვმა ბოქაულის ამისთანა განკარგულება აცნობა ქალაქის გამგეობას; გამგეობამ უკანასკნელ თავის კრებაზედ გარდასწყვიტა: ეცნობოს ტფილისის პოლიცმეისტერს, რომ ბოქაულებს და პოლიციას ნება არა აქვთ აუკრძალონ მუშებს უწმინდურობის დაწმენდაო. ქალაქის გამგეობამ ეს მიწერილობა გუშინ გაუგზავნა პოლიცმეისტერს და სთხოვა, ეს დადგენილება შეატყობინეთ ბოქაულებსაო,

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა მე-V კრება ქუთაისში

15 იანვარი (მერვე სხდომა).

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

ბ. გ. ზდანოვიჩი. რომ ბოლო მოვუღოთ ამ ავან-ჩავანს, სჯობს საბოლოოდ გამოვარკვიოთ საქმე. წიგნები და დავთრები ყველა აქა გვაქვს, მხოლოდ ბ. შუტცი-კი ვერ მოგვთხოვს, კრებამ უნდა მოგვთხოვოს. 100 მანეთის შესახებ მე ის მოგახსენეთ, რაც ნამდვილად იყო; მაგრამ, რადგან ექ. ჭიჭინაძე, (რომელმაც, ალბად, უკეთ იცის ეს საქმე, ვიდრე თ-დმა ლეონიძემ და ბ. შუტცმა), ისეთ კითხვებს იძლევა, რომ ჩვენს შესახებ რაიმე ცუდი ეჭვი აღძრას, ვითომ ჩვენ უფროსების გულის მოსაგებად ფულებს ვარიგებდეთ, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ უფროსი არავინა გვყავს; სრულიად თავისუფალი, დამოუკიდებელი თვით-მმართველობა გაქვს.

ბ. ცეიტლინს ჩვენ მოვაწყობიეთ ორი გამოფენა, დავამზადებინეთ მასალა წიგნაკისათვის და მცირე შრომა არ გავაწევინეთ კოლლექციის შესადგენად. აი, ამისათვის მივეცით 600 მანეთი. ბ. ინჟ. მარკოვსკის, აგრეთვე ინჟ. საპიცკის (ჭიათურის მარკშეიდერს). ბინის ქირას ვაძლევთ იმიტომ-კი არა, რომ იგინი მოწყალეს თვალით გვიყურებდნენ.

არა, ჩვენ-კი არას ჩავდივართ საძრახისსა, არამედ იგინი, ვინც ამ გვარ კითხვებს გვაძლევენ.

შევუდგეთ ეხლა სარევიზიო კომისიის მოხსენებას. ნუ დაივიწყებთ, რომ რევიზიის მოხდენა ყველაზედ უწინ თვით საბჭომ განიზრახა და ამის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთად ისიც კმარა, რომ ჩვენ ეს საქმე დავავალეთ ბ. ჰასფელდსა და ჩვენს კონსულტანტს ინჟ. მიხაილოვს, მაშასადამე, რევიზიას-კი არ გავურბოდით, პირ-იქით, ჩვენ თითონ გვწადდა. მხოლოდ, როდესაც სარევიზიო კომისია ფარულად, ჩვენს დაუკითხავად შეუდგა რევიზიას და ჰსურდა რაღაც საიდუმლოებით მოეცვათ თავისი მოქმედება, ჩვენც ოფიციალურ ნიადაგზე დავაყენეთ საქმე. რა ზნეობრივი უფლება ჰქონდა, რომ ასე მოგქცეოდა? არა, მათ ერთად-ერთი განზრახვა ჰქონდათ,—დაენახვებიათ ქვეყნისათვის,—ჩვენა ვართ დამრიგებელი და მაჩვენებელი კანონიერებისაო. მხოლოდ ეს გახლდათ მიზეზი, რომ კომისია ისეთის სიჩქარით, ისეთის საიდუმლოებით შეუდგა საქმეს. რით დაიმსახურა საბჭომ ასეთი უნდობლობა კომისიისა? განა ჩვენ არ ვასრულებთ, თუ რამ ნაჩვენები გვქონდა რევიზიისაგან? ყველაზედ მეტ ბრალს საავადმყოფოს გამგეს ბ. გამრეკელსა და ტეხნიკს ბ. წერეთელსა სდებდნენ; ხომ დავითხოვეთ ორთავენი, ეხლა ბ. გამრეკელი ოპოზიციაში გახლავთ; რად მოექცნენ ისე სასტიკად რევიზიის წევრები თავის მომხრეს, სწორედ საკვირველია.

რევიზია ჯერ კიდევ დაწყებული არ გახლდათ, რომ ხმა დაჰყარეს,—რევიზია ქვას ქვაზედ აღარ დასტოვებსო. ამაზედ ლაპარაკობდნენ და სწერდნენ არამც თუ ადგილობრივ ქართულსა და რუსულს, არამედ თვით სატახტო გაზეთებშიაც. აი, როგორ იმზადებდა ნიადაგს სარევიზიო კომისია. დიაღ, ამგვარ აზრებით იყო გამსჭვალული სარევიზიო კომისია, რომელსაც ყოველნაირად ხელს უწყობდა თვით მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელი ინჟ. მარკოვსკი. თუ ბ. მარკოვსკი ამას უარ ჰყოფს, მე თვით სარევიზიო ანგარიშიდგან და მრავალ ფაქტებით დავუმტკიცებ ყოველსავე.

ჯერ ის გასინჯეთ, როგორ იწყება სარევიზიო კომისიის ანგარიში:—„რადგან გაზეთებიდგან გავიგეთ“.. და სხვა. თუმცა ზოგიერთნი ბრალსა გვდებენ, პრესას უპატიურად ეკიდებაო, მაგრამ იქნება ასე არა ფიქრობდეს კრება. დიაღ, არა ნაკლებ პატივსა ვცემ პრესას, ვიდრე მისი ვითომდა მფარველნი, მაგრამ, ვინ არ იცის, რომ გაზეთებში არა იშვიათად შეხვდებით შეუმოწმებელს ფაქტებს. თუ კომისიას მართლა სხვა არა ჰქონდარა სახეში, გაზეთებში მოქცეულ ამბებს უნდა ჰნდობოდა,—თუ იქიდგან მოეთხოვა ცნობა, საიდგანაც უნდა მიეღო? ეს კარგად უწყოდა კომისიამ, მაგრამ, როგორღა ისახელებდა თავს, თუ ასე არ მოქცეულიყო.

როგორც მოგახსენეთ, ყველაზედ მეტი მხნეობა და სიყოჩაღე სახელმწიფო ქონებათა და სამიწად-მოქმედო სამინისტროს წარმომადგენელმა ინჟ. მარკოვსკიმ გამოიჩინა. თუმცა იმისთვის არავის არ დაუვალებია თავმჯდომარეობა, არც კანონით ეკუთვნის, არც წესდებით, მაგრამ თავისთავად აჩქარებდა ამხანაგებს. როცა ჩემთან გამოცხადდნენ ბ.ბ. შუტცი და ტურკიანი და გამიცხადეს მოსვლის მიზეზი, ვკითხე, ვისგან მიიღეთ ეგ განკარგულება-მეთქი,—სახელმწიფო ქონებათა და სამიწად-მოქმედო სამინისტროს წარმომადგენელისაგანაო, მოპასუხეს; როცა მე მივუგე—სამინისტროს წარმომადგენელი eoipso ვერ იქნება თავმჯდომარედ და მაგგვარ განკარგულების ნება არა აქვს-თქო, ბ-ნმა შუტცმა დიდად იუცხოვა.

ჩვეულებრივ, რევიზია ხდება ხოლმე იმ დროს, როცა კრების ვადა ოფიციალურად გამოცხადდება. მაშასადამე, ამ დროისათვის უნდა იყოს ყოველივე დამთავრებული; სარევიზიო კომისია წინად გამოცხადდა, რევიზია მოახდინა და დიდ დანაშაულად ჩაგვითვალა, რატომ წიგნები და დავთრები დამთავრებული არააო. უკანვე ვუბრუნებ სარევიზიო კომისიას ამ უსაფუძვლო ბრალდებას.

როცა ჩემთან ბ-ნნი შუტცი და ტურკიანი გამოცხადდნენ 3 ნოემბერს კომისიის სახელით, მე არ მივიღე, რადგან იგინი კომისიას არ შეადგენდნენ. მხოლოდ შემდეგ ბ-ნმა შუტცმა განმიცხადა,—საზღვარ-გარედ უნდა წავიდე საქმეების გამო და ნება მოგვეცით, რევიზია მოვახდინოთო. შემეძლო არ მიმეცა, მაგრამ სახეში მივიღე მათი პირადი განცხადება და 5 ნოემბერს ნება დავრთე. ამის შემდეგ კიდევ იმას ამბობენ,—ნება არ მოგვცა რევიზიისაო. ნოემბრის 13 შეუდგნენ საქმეს, მაგრამ რამოდენისამე ხნის შემდეგ დაინიშნა კრების ვადა, და ხელმეორედ მოახდინეს დამატებითი რევიზია. რომ ისე არ აჩქარებულიყვნენ რევიზიის წევრნი, ეს ორ-სართლიანი რევიზია აღარ დასჭირდებოდათ, რომელიც სრულიად არ შეესაბამება ჩვენს საბოლოო ანგარიშს.

შემდეგი ბრალდება სარევიზიო კომისიისა შეიცავს საბუჰგალტერო დავთრებში შენიშნულ შეცდომებს. დიდად ვსწუხვარ, რომ აქ არაა ბ-ნი ტურკიანი. საქმე ის გახლავთ, რომ რევიზიის წევრებმა თვით ჩაიდინეს შეცდომა, მოჰყვნენ სწორებას, წაშალ-წამოშალეს და მოხსენებაში თავის შეცდომებიც-კი ჩვენ მოგვახვიეს თავზე. ეხლა თქვენ თითონ გასინჯეთ, რა გრძნობით უნდა ყოფილიყვნენ გამსჭვალულნი რევიზიის წევრნი, როცა თავის შეცდომებსაც-კი ჩვენ გვადებდნენ ბრალად.

აბა, ვკითხოთ თვით ბუჰგალტერს.

ბ-ნი შუტცი. მაშ, თქვენ ბუჰგალტერს უფრო ერწმუნებით, ვიდრე მთელს სარევიზიო კომისიას?

ბუჰგალტერი ბ-ნი პურადოვი. როცა დამიბარეს და მივედი, ბ-ნმა ტურკიანმა მითხრა,—აქ შეცდომა ვნახეთ, მაგრამ უკვე გავასწორეთო. როდესაც დავხედე დავთარს, შევნიშნე, რომ რაღაც გაესწორებინათ და ისევ წაეშალათ. თურმე გამოანგარიშების დროს თვით შესცდომოდათ, მერმე მიმხდარიყვნენ და გაესწორებინათ. იქ არავითარი შეცდომა არ იყო; იყო მხოლოდ გამოკლება, თორემ წიგნი აქ გახლავთ და მსურველთ შეუძლიანთ თავის თვალით გასინჯონ.

ბ-ნი შუტცი. მართალია, შეცდომა არ ყოფილა, მხოლოდ გამოკლება იყო.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. როგორ მოგწონთ, ბატონებო? სარევიზიო ანგარიშში ამბობენ,—დავთრები და წიგნები სულ გადახაზული და შეცდომებით სავსეაო; აქ კი, მხოლოდ მცირე გამოკლება იყოო. განა საკადრისია ასეთი საქციელი?

ხმები შუტცის მიმართ: „გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ!“

შემდეგ, სარევიზიო ანგარიშში ნათქვამია, საკასსო თეთრი წიგნიც თავით ბოლომდე წაშლილ-ამოშლილი და ამოფხეკილია და ამიტომ სარწმუნო არააო. ასე მხოლოდ იმათ შეუძლიანთ ლაპარაკი, ვინც უწყებულ გრძნობებითაა გამსჭვალული.

ჯერ ერთი ისა, რომ წიგნში მხოლოდ ჯამია გადახაზული; მაგრამ, თუ ერთგან დასჭირდათ ჯამის გადახაზვა, შემდეგ ბოლომდე ყველგან უნდა გადახაზოთ, რადგან ერთი გვერდიდგან მეორეზე გადადის ტრანსპორტი ბოლომდე და, თუ პირველი შეასწორეთ, სხვებიც უნდა შეასწოროთ. არც ამოფხეკი, არც წაშლილი, არც სხვა რაიმე შეცდომა წიგნში არ მოიპოვება. ანგარიშში-კი მოხსენებულია—თავით-ბოლომდე შეცდომებითაა სავსე და სარწმუნო არააო. შესვენების დროს ვსთხოვ მსურველთ, თავის თვალითა ნახონ.

ეხლა ვსთქვათ, რომ ეს წიგნი მართლა საეჭვო იყოს, ხომ ყოველ სტატიაზე საბუთიცა გვაქვს და ძალაც ხომ ამ საბუთებშია და არა წიგნებში? თუ წიგნი საეჭვოდ იცნეს, საბუთები ხომ იქა ჰქონდათ; რაღა სათქმელი იყო, სარწმუნო არაა, ანგარიშს კაცი ვერ გაიგებსო. მაგრამ რა ექნათ, რომ ერთგვარ გრძნობით იყვნენ შეპყრობილნი. და იცით, ბატონებო, რომ ყოველ ამ ცილის წამებას თვით სახელმწიფო-ქონებათა და სამიწად-მოქმედო სამინისტროს წარმომადგენელი ბ. მარკოვსკი აწერდა ხელსა!

შემდეგ ამისა ბ. პურადოვმა წაიკითხა სავაჭრო წესდების ის მუხლი, სადაც ნათქვამია, თუ როგორ უნდა შესწორდეს ხოლმე უნებური შეცდომა (описка),—თვით ბ-ნი შუტციც დამეთანხმება, რომ გარეშე წესდებისა ჩვენ არა ჩაგვიდენია-რა. რაც შეეხება შეცდომას ეს თვით სარევიზიო კომისიასაც მოუვიდა იმავე წიგნში—ამოშალა ერთგან 20 მანეთი შეცდომით და არც-კი მოუხსენებია ეს გარემოებაო. აი, ბატონებო, ეს მოხდა ნოემბრის 16-ს. (ტაში).

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. შემდეგ, სარევიზიო კომისია დიდ ბრალსა გვდებს, შეუძლებელია ჩეკების ანგარიშის ცნობაში მოყვანა, რადგან წარწერები საანგარიშო წიგნში (расчетн. кн.) მარცხნით არააო. განა ეს სათქმელია? თუ მართლა ანგარიშის გაგება უნდოდათ, რაღა მაინცა და მაინც იქ ეძებდნენ წარწერას, საცა ის არ იყო, და არა იქ, საცა იყო *). ბანკი თხოულობს, მართალია,—სასურველია მარცხნით ხდებოდეს წარწერაო; მაგრამ ეს რომ სავალდებულო იყოს, პირდაპირ იქნება ნათქვამი—გიბრძანებთ ასე ჩასწერეთო. არა-სავალდებულო—ჩვენ დიდ ცოდვად ჩაგვითვალეს.

ეს კიდევ არაფერი. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ერთი ჩეკი № 10 ამოხეულია № 25 შემდეგაო და ესეც დიდ დანაშაულად მიიჩნიეს. მართლაც, გარეშე კაცს გააკვირვებს და საეჭვო ფიქრს აღუძრავს ეს ბრალდება; მაგრამ საქმე, აი, რა გახლავთ. ბანკის კანცელარიის გადამწერ მეცხრე ჩეკის შემდეგ შეცდომით მეთერთმეტე №-ი დაუსვამს; მხოლოდ, სანამ სულ არ გათავდა წიგნაკი, რომელშიაც 25 ფურცელია, ვერ მიხვდა შეცდომას, მაგრამ, როცა № 25 ჩასწერა, ნახა. რომ ერთი ფურცელი კიდევ დარჩა. გადაათვალიერა და აღმოჩნდა, რომ 9-ს შემდეგ 11 დაეწერა. მაშასადამე მეათე იყო გამოტოვებული და, რასაკვირველია ამ ზედ-მეტად დარჩენილ ფურცელზედ უნდა დაეწერა № 10.

განა სირცხვილი არაა ამისთანა უმნიშვნელო, საგანი უშველებელ ბრალდებად გააზვიადოს კაცმა? სხვას ამის შესახებ ლაპარაკისაც-კი შერცხვებოდა.

ხმები ბ-ნ შუტცის მიმართ: „გრცხვენოდეთ, გრცხვენოდეთ“.

2 საათზე კრება შესწყდა 15 წამით.

ინჟ. მარკოვსკი. მე, როგორც მთავრობის წარმომადგენელი, უნდა მოგახსენოთ, რომ კრიტიკას არ ვექვემდებარები. თუ უმართებულოდ ვიქცევი, შეგიძლიათ მიჩივლოთ, სადაც ჯერ არს. ვსთხოვ ბ-ნ თავმჯდომარეს, დამიფაროს შეურაცხყოფისაგან.

თავ. პ. წულუკიძე. ალბად, მიზეზიცა გვაქვს, რომ გეხებით. ჩვენ სრული ნება გვაქვს, რომ ვილაპარაკოთ ამაზედ (ტაში).

ბ-ნი ბ. მოსეშვილი. თუ ვლაპარაკობთ, კიდეც დავამტკიცებთ; ახალსაც ბევრს ვიტყვით კიდევ. საბუთებიც ბლომადა მაქვს და თუ საჭირო იქნება, 200 კაცს დავამტკიცებიებ. (ტაში).

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. კარგი, აღარ შევეხები სახელმწიფო ქონებათა და სამიწად-მოქმედო სამინისტროს წარმომადგენელს ინჟ. მარკოვსკის.

განვიხილოთ ეხლა მეხუთე ბრალდება.

შუა-გული ამ ბრალდებისა „შავი-ქვა“ გახლავთ; აი, სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი.

1901 წ. თიბათვეში, ჩვენ მოგვმართა ორას კაცამდე, რომელთაც განეზრახათ „შავი-ქვა“-ს ამხანაგობის დაარსება (ხმები: 180-იო)—შეიძლება, კარგად არ მახსოვს—და გვთხოვეს 5,000 მანეთი სესხად. ორი მესამედი მრეწველთა თანახმა გახდა, ამ სასურველ ამხანაგობისათვის ხელი გაემართა. იმ კრებას დაესწრო ბ-ნ ემერიკიც და, უნდა გამოვტყდე, ჩინებული სამსახურიც გაგვიწია, როგორც გამოცდილმა იურისტმა. მოითხოვა, რომ 20 კაცს, რომელნიც უფრო შეძლებულად ითვლებოდნენ, ხელწერილი მოეცათ. ამ გარეგნულ წესების შესრულების შემდეგ, იმ კაცებს გადავეცით ფული. ამ ადამიანურს, კეთილ საქციელს სარევიზიო კომისია „ულამაზო“ საქციელად სთვლის. ჩემის აზრით, მხოლოდ მადლობის ღირსნი არიან საბჭოს წევრნი, რომ ესეთი უანგარობა გამოიჩინეს და ხელი გაუმართეს ახალს ამხანაგობას. არც ერთს, გარდა თავ. ი. ნიჟარაძისა, არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონია იმ ამხანაგობასთან, რომ რაიმე პირად ანგარიშებით ეხელმძღვანელა.

საბჭო შეშინდა და უნდოდა, როგორმე მიეფუჩეჩებინა ეს „ულამაზო“ საქციელიო; განა შესაძლოა მიფუჩეჩება იმისა, რაც უკვე აღნიშნულია საბუთებში? მაგრამ გულმა არ მოუთმინათ, რომ მათრახი არ გადმოეკრათ ჩვენსკენ. უკანვე ვუბრუნებ სავსებით სარევიზიო კომისიას ამ ბრალდებას.

მოხდება ხოლმე, რომ რკინის გზის მმართველობა გვიგვიანებს შავი-ქვის ½ კაპ. გადასახადს და ამ მოლოდინში ხშირად ვსაჭიროებთ ფულსა. სწორედ ამ გვარი საჭიროება გვქონდა და მივმართეთ „შავი-ქვის ამხანაგობას, რომელმაც გაგვიმართა ხელი. ამ ურთიერთის თავაზიანობაში სარევიზიო კომისია „ულამაზო საქციელსა“ ჰხედავს.

ბ-ნი ემერიკი. „შავი-ქვის“ ამხანაგობის სახელით თავ. ი. ნიჟარაძემ წარმოადგინა 40 კაცის ხელწერილი. მეც თანახმა გავხდი, რომ ხელი გაგვემართა ამ ახლად დაწყებულ საქმისათვის, თუმცა ჩვენ არავითარი უფლება არა გვქონდა არც ერთის ფარის გაცემისა.

თავ. ი. ნიჟარაძე. ხელწერილი მე არ წარმომიდგენია. ჭიათურაში წარედგინათ საბჭოსათვის.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. მეხუთე ბრალდების პირველ ნაწილი—კასსაში 22 კაპეიკით მეტი აღმოჩნდაო—ყურადღების ღირსიც არაა და არც შევეხები, რადგან ასეთ წვრილმანის აღნიშვნა სრულიად მეტად მიმაჩნია.

ბ-ნი იოს. კაკაბაძე. სარევიზიო კომისია სწორედ მადლობის ღირსია, რომ ასეთ წვრილმანსაც-კი უყურადღებოდ არ სტოვებს.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. მეორე ნაწილი-კი იგივეა, რაც მესამე მუხლი ბრალდებისა. რატომ მარცხნით არაა წარწერა, ისე ანგარიში ვერ მოვახერხეთ და ვერ გამოვარკვიეთო; დიაღ, სარევიზიო კომისია ყოველთვის იქ ეძებს, საცა ვერას ნახავს.

ბუჰგ. პურადოვი. რევიზია ორი, თუ სამი დღე იყო; კომისიის წევრები ჭიათურას წასასვლელად ჩქარობდნენ. მომთხოვეს,—ესა და ეს ცნობები მოგვეციო, მაგრამ ისე უცბად, სახელდახელოდ არ შემეძლო ყველაფრის ჩვენება, რადგან ორი თვის ნაავადმყოფარი ვიყავი და ყველა ანგარიშები საბოლოოდ არ მქონდა დამზადებული.

პირველად 30,000 მანეთის შეცდომა ენახათ, მაგრამ ავუხსენი,—ჭიათურის ბანკშია გადატანილი-თქო; დაგვაკლდა 3 მან. 55 კაპ., მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ ფულით დეპეშები გაეგზავნათ.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. მესამე მუხლი მეხუთე ბრალდებისა ამბობს,—საბჭომ 83 მანეთი დაჰკარგა, იმიტომ რომ მხოლოდ სამის თვით იყო შეტანილი შესანახად ჭიათურის ბანკში 8,300 მანეთიო; ექვსი თვით რომ შეგვეტანათ, 83 მანეთს მეტს მიიღებდითო. დიაღ—1 წლით რომ შეგვეტანა,—კიდევ მეტს მოვიგებდით; 2 წლით—კიდევ უფრო მეტსა და სხ. ამგვარ ბრალდებასაც ადგილი უნდა ჰქონდეს მიუდგომელ სარევიზიო ანგარიშში?

კრება 3 საათზე დასრულდა.

16 იანვარი (მეცხრე სხდომა)

კრება თერთმეტ საათზე დაიწყო. თავმჯდომარემ განაცხადა,—ოქმი ჯერ მზად არაა, გადაწერა ვერ მოუსწრიათ.

ექ. ჭიჭინაძე თხოულობს სიტყვას, მაგრამ თავმჯდომარე არ აძლევს.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. უმორჩილესად ვსთხოვ, როგორც მომხრეთ, ისე მოპირდაპირეთ, ოქმში ნუ შევიტანთ, რაც ჯილდოს შესახებ ლაპარაკი იყო.

ექ. ჭიჭინაძე. რად ეხებოდით მაგ საგანს, თუ არ გნებავდათ, რომ ოქმში მოჰყოლიყო?

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ექ. ჭიჭინაძეს სულ სხვანაირი წარმოდგენა აქვს თავაზიანობაზედ; ბატონებო, უკან მიმაქვს ჩემი თხოვნა, მაგრამ გთხოვთ აღნიშნოთ, რომ მხოლოდ ექ. ჭიჭინაძე იყო წინააღმდეგი ამ აზრისა.

გაისმა ხმები: „ნუ შევიტანთ ოქმში, ყველა ვთხოულობთ“ და დიდი უმრავლესობა წამოდგა ფეხზე.

ბ-ნი ი. გამრეკელი. ბატონებო, ფეხზე წამოდგომას რა აზრი აქვს, უმეტესობა იმიტომ ადგა, რომ არ ესმის, რაშია საქმე.

თ-დ ი. ნიჟარაძე. მაშ, ეხლა ისინი ადგნენ ვინც წინააღმდეგნი არიან ამ წინადადებისა. (არავინ არ ამდგარა)

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. სარევიზიო კომისიის ანგარიშში, სადაც მოხსენებულია „ერთხანად მომხდარი ხარჯი“—ნათქვამია, თავმჯდომარის მოადგილის ჯამაგირის შესახებ უთანაბრობააო. მართალია, უთანაბრობაა, მხოლოდ ეს მიტომ მოხდა, რომ გასულ მე-II კრების მდივნებს გამორჩათ ოქმიდგან, თორემ დადგენილი იყო,—თავმჯდომარის მოადგილეს უნდა მიეღო ჯამაგირი იმ ანგარიშით, რამდენსაც თავმჯდომარე ღებულობს, მხოლოდ იმ დროის განმავლობაში, სანამ თავმჯდომარის მაგივრად იქნებოდა. რადგან ეს განმარტება არ მოჰყვა ოქმში, ზოგი მაინც ამ აზრისა იყო და, მაგ. ბ-ნ ა. ავგერინოსსაც ასე უანგარიშნია, სანამ ის თავმჯდომარის მაგივრად იყო; მხოლოდ ზოგნი წინანდელ წესით ხელმძღვანელობდნენ—თავმჯდომარე ნახევარ წელიწადზე მეტის ხნით ვერ მიატოვებს საბჭოსაო და ამ ვარაუდით ნახევარ წლის ჯამაგირი უნდა მიეცესო, ე. ი. 2,000 მანეთიო. ასეც მოხდა მაგ. თ-დ ლეონიძის შესახებ, რომელმაც მხოლოდ 2,000 მანეთი მიიღო, თუმცა მთელი წელიწადი იყო თავმჯდომარის მაგივრად. ეს, რასაკვირველია, ერთხელვე უნდა გადასწყდეს და დაკანონდეს, რომ თავიდგან ავიცილოთ ამ გვარი უხერხულობა.

ექ. ჭიჭინაძე. რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდით, რომ დამატებითი 15 მ. კრებებზე დასწრებისათვის იმ სხდომებისაც-კი მიიღეთ, რომელიც ამ დადგენილების წინად გქონდათ?

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ხარჯი გვქონდა გაწეული და მიტომ.

ექ. ჭიჭინაძე. მაგრამ კანონი წარსულის შესახებ აღარ მოქმედობს.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. თუ ჩვენ მეტი ხარჯი გვქონდა გაწეული კრებებზე მისვლა-მოსვლით ხომ უნდა აგვენაზღაურებინა. მაგ. დანიშნულიც რომ არ ჰქონდეს ვისმეს ფეხის ქირა და გაჰგზავნონ სადმე რომ დაბრუნდება, ხომ უნდა უზღონ, რაც დაეხარჯა? ჩვენც ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით. არა, ექ. ჭიჭინაძეს მაინც და მაინც ის უნდა გამოიყვანოს, ვითომ ჩვენ მეტსა ვღებულობდით, ვიდრე გვერგებოდა!

იმ საყვედურის შესახებ, ბუჰგალტერიის ნაწილი ცუდად არის დაყენებული, და საჭიროა კარგი ბუჰგალტერი იყოლიოთ და უკეთ მოაწყოთ საქმეო, ამისთვის ეკონომიას კი არ უნდა ეწეოდეთ, პირიქით, მეტი სასყიდელი უნდა გაიღოთ,—უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ გუშინდელი ჩემი განმარტება ბუჰგალტერიის შესახებ სარწმუნოდ მიიჩნიეთ, ესეც უყურადღებოდ უნდა დარჩეს. თუ არა და—ესეც უნდა მივიღოთ სახეში. ჩვენი საბუჰგალტერო საქმეები თანდათან რთულდება; როცა საქმე ახალი დაწყებული იყო, ბუჰგალტერი სრულიადაც არ გვეჭირვებოდა. მაგ., მე-3 კრებამდე სულ არა გვყოლია. მხოლოდ ეხლა იმდენად გაიზარდა ჩვენი საქმეები, რომ ერთი კაცი თავს ვერ გართმევს და უნდა ვიზრუნოთ, რომ მას რიგიანი თანაშემწე ვუშოვოთ.

---

*) რატომ ჩეკის ყდები არ გასინჯეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინჟ. მარკოვსკი. მე-III კრების დადგენილებაში ნათქვამია, რომ საკუთარი ბუჰგალტერი სასურველიაო.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. ჰო, დიახ სასურველია.

რად ფიქრობს ვინმე, ვითომ ჩვენ, საბჭოს წევრთ, უფრო არა გვსურდეს, რომ საბუჰგალტერიო საქმეც კარგად იყოს დაყენებული? ჩვენ ხომ პასუხის მგებნი ვართ თქვენს წინაშე, და განა ჩვენთვის უმჯობესი არაა, რაც უკეთ გვექნება საქმე მოწყობილი, რაც უკეთესი კაცები გვეყოლება საბჭოში? ნუ თუ სარევიზიო კომისია, რომელიც მხოლოდ ორი-სამი დღით ეხება ჩვენს საქმეებს, უფრო მოწადინებულია და მეტს ზრუნავს ჩვენთვის?

სტიპენდიების შესახებ სარევიზიო კომისიის აზრი საუცხოვოდ იხატება მისავე სიტყვებში—„მეტად მძიმედ აწევს სხვა-და-სხვა საქველმოქმედო მოწყალებანი ჩვენს ბიუჯეტსაო“ (слишкомъ ужъ обремененъ разными благотворительными подачками); აი აქ იხატება სული და გული სარევიზიო კომისიისა.

ეს ერთი შემთხვევა მაინცა ჰქონდათ, რომ ვექეთ, მაგრამ აქაც-კი გვძრახავენ!

მის მადლობას-კი,—2,880 მანეთის ეკონომია გაგიკეთებიათ სტიპენდიებზეო, არა ვღებულობ. (ეს ეკონომია იქიდგან წარმოსდგა, რომ სტიპენდიების დანიშვნის შემდეგ საზაფხულო თვეები იდგა და სექტემბრამდე-კი სტიპენდიით არავის უსარგებლია).

რაიცა შეეხბა სტუდ. პაპავას,—იმას თვით კრებამ დაუნიშნა სტიპენდია 840 მან. საბჭო აქ არაფერ შუაში ყოფილა.

ბ-ნ იოს. კაკაბაძის აზრით სტ. პაპავა არაა სტიპენდიის ღირსი, რადგან მეტად კოხტაობს, დასეირნობს და სხ. ვინც საზოგადო ხარჯით იზრდება, ასე არ უნდა იქცეოდეს, არავითარი ზნეობრივი უფლება არა აქვსო.

ბ-ნი ემერიკი. ჩემის აზრით, სტ. პაპავას სტიპენდია უნდა ჩამოერთვას, რადგან ის თავადაც შოულობს ფულს, მშობლებიც შეძლებული ჰყავს, მეტად კოხტაობს და ისე მორთულ-მოკაზმული დასეირნობს, რომ სტიპენდიატებს არ შეჰფერისო. უმჯობესია მისი სტპენდია უფრო ხელმოკლე სტუდენტს მივსცეთ. ასეთი ბევრი აღმოჩნდება.

თავ. ი. ნიჟარაძე. ამის შესახებ გვქონდა საბჭოში თათბირი, მაგრამ, რადგან თვით კრებამ დაუნიშნა სტიპენდია, ჩვენ ნება არა გვაქვს მოვუსპოთ.

ბ-ნი დ. ბაქრაძე. სტ. პაპავას უსაყვედურებენ,—კამისიონერობს, ბევრ ფულსა ღებულობს, სამშობლოში მოდის ხოლმე და სხ. *) ბატონებო, მერწმუნეთ, რომ იმას ჩემგან არა მიუღია-რა, რადგან მისგან გარიგებული საქმე ჯერ არ თავებულა; თქვენ რომ ეხლა სტიპენდია შეუმციროთ, იძულებული იქნება თავი დაანებოს სწავლას.

ბ-ნი ემერიკი. ხმა დააგდეს,—ვითომ სტ. პაპავამ ერთბაშად მიიღო 2,800 მანეთიო, თორემ თქვენს სიტყვას სავსებით ვერწმუნები.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. სარევიზიო კომისია გვისაყვედურებს,—სტ. პაპავას შესახებ, ვადა არაა დანიშნული, როდემდე შეუძლია ისარგე-სტიპენდიითაო; გერმანიის უნივერსიტეტში თუნდა 25 წელს შეუძლია სტუდენტს დაჰყოსო. მართალია. კრებას არ განუსაზღვრავს, თუ როდემდე უნდა ვუგზავნოთ სტიპენდია, მაგრამ ვგონებ, რომ ოთხის წლის განმავლობაში, რადგან პირველი კურსი უკვე გათავებული ჰქონდა, როცა სტიპენდია დაენიშნა.

12 საათზედ კრება შესწყდა 15 წამით.

კრების განახლების შემდეგ ბ-ნი გ. ზდანოვიჩი შეეხო სარევიზიო კომისიის ანგარიშის იმ მუხლს, სადაც საავადმყოფოსა და ექიმზეა ლაპარაკი.

ანგარიშშიო,—სთქვა ბ-ნ ზდანოვიჩმა —აღნიშნულია, ვითომ ჩვენი ექიმი 243 დღის განმავლობაში 169 დღე არ ყოფილიყოს საავადმყოფოში, ე. ი., თითქმის სამ დღეში მხოლოდ ერთი დღე ევლოს. ამის პასუხს თვით ექიმი მოგახსენებსთ.

სანამ საავადმყოფო ჯერ კიდევ მთავრობის ხელში იყო—როცა ჩვენ $^{1}/_{2}$ კაპეიკიანი გადასახადი შავის-ქვისა კიდევ არ გვეძლეოდა,—რევიზია მოახდინეს და აღმოაჩნდა, რომ მეტად საძაგელ მდგომარეობაში იყო საავადმყოფო.

მაგრამ, როდესაც ჩვენ ჩავიბარეთ და მოვაწყეთ, რამდენადაც-კი შესაძლო იყო, რადგან მეტად უხერხული მდგომარეობა აქვს, თვით ინჟ. მარკოვსკის დაევალა რევიზიის მოხდენა; აი, რასა სწერს ინჟ. მარკოვსკი,—საავადმყოფო სამაგალითო მდგომარეობაშიაო. თვით ბ-ნ გუბერნატორის უმაღლესად წარგზავნილ მოხსენებაში ჩვენის საავადმყოფოს შესახებ ნათქვამია, რომ მთელს გუბერნიაში საუკეთესო არისო.

დიახ, წინად თურმე საუცხოო და სამაგალითო იყო, ეხლა-კი—„თავლაო“.

ბ-ნი შუტცი. მე წინად არ მინახავს, მხოლოდ ეხლა ვნახე.

ბ-ნი ზდანოვიჩი. სწორედ, რომ საშინელს მდგომარეობაში იყო საავადმყოფო, როცა ჩვენ ჩავიბარეთ; რაც-კი რამ მოუხერხდებოდა, შევაკეთეთ, გავაუმჯობესეთ, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, როგორც თვით შენობა, ისე მისი მდებარეობა იმდენად უხეიროა, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა, რაიმე თვალსაჩინო გაუმჯობესობა მოგვეხდინა. სანამ საავადმყოფო იმ შენობაში იქნება მოთავსებული, ყოვლად შეუძლებელია თავიდგან აიცილოს ან ძველმა და ან ახალმა საბჭომ ის დაბრკოლებანი, რომელიც ხელს უშლის მისს საუკეთესოდ მოწყობას. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ახლო მომავალში საკუთარს შენობას ავაგებთ საავადმყოფოსათვის; ადგილი უკვე ნაყიდი გვაქვს, 7 დესეტინა; განათება ელექტრონით გვექნება და საუკეთესო წყაროს წყალი მილით იქნება გაყვანილი; აბანოზედ მიტომ გავსწიეთ დიდი ხარჯი, რომ სწორედ ეს მომავალი საავადმყოფო გვქონდა სახეში.

ექ. ს. ჯაფარიძე. სარევიზიო კომისიის ანგარიშში, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ საავადმყოფოში, მიუხედავად აუცილებელ საჭიროებისა, აბანოს ოთახი არააო. მართალია, საკუთარი საბანოო ოთახი არა გვაქვს, მაგრამ ჩინებული ცინკის საბანებელი გვიდგია იმ ოთახში, რომელიც „თავლა“-დაა მოხსენებული ანგარიშში.

ბ-ნ ემერიკმა მიჰმართა ბ-ნ ზდანოვიჩს,—გთხოვთ, ჩემი წერილი, რომელიც საავადმყოფოს რევიზიის შესახებ მოგწერეთ, წააკითხოთ მდივანსაო.

ბ-ნ ემერიკის წერილში აღნიშნულია რამდენიმე წვრილმანი ნაკლულევანება საავადმყოფოისა და რჩევა, თუ, როგორ უნდა აიცილოს საბჭომ თავიდგან იგი.

ბ-ნი ზდანოვიჩი. რადგან სარევიზიო კომისია მხოლოდ ჩვენის კიცხვა-საყვედურით იყო გატაცებული, ასეთი მოუფიქრებელი ბრალდებაც-კი მოგვდვა,—საშინელი სიცივეა, როგორც თვით საავადმყოფოში, ისე აფთიაქსა, სალაროსა, სარეცხსა და საცხედრე ოთახებშიო.

ნეტავ ვიცოდე, რად ესაჭიროება სითბო მიცვალებულს, ან კიდევ სალარო ოთახს? ჩვენს დასამცირებლად მიცვალებულსაც-კი ესარჩლებიან, მხოლოდ უხეიროდ. საცხედრე სწორედ ცივი უნდა იყოს და არა თბილი.

ბრალსა გვდებს სარევიზიო კომისია, ვითომ ჩვენ ვერ გვეთქვას,—რამდენი ფული ჰქონდა ექიმს მიღებული.

ბუჰგ. ბურაღოვი. ამას-კი ადვილად ვეტყოდით, მაგრამ მომთხოვეს, ამ ჟამად რამდენი ექნება ექიმს ხელზედაო; ამის თქმა-კი შეუძლებელი იყო.

თავ. პ. წულუკიძე. ხომ იცოდით, რამდენი ჰქონდა წაღებული, მაგრამ არ იცოდით, რამდენი ჰქონდა ხელზედ?

ბუჰგ. ბურაღოვი. დიახ.

თავ. ი. აბაშიძე. რას ნიშნავს სიტყვები,—ვერ მოვახერხეთ გამოანგარიშებაო?

ბ-ნი შუტცი. ეს იმას ნიშნავს, რომ ოქტომბრის ანგარიშები არ იყო წარმოდგენილი ექიმისაგან.

თავ. ი. აბაშიძე. გთხოვთ, ეს განმარტება ოქმში შეიტანოთ.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ის ბრალდება, ვითომ საბჭოს არავითარი გასამართლებელი საბუთი არ აღმოაჩნდა იმ ფულსა, რომელიც გადადებულია საავადმყოფოს სურსათ-ხორაგეულობისათვისაო, მე მიმაჩნია განზრახულ შეცდომად. იმ საბუთებს, რომელიც საბჭოში უნდა იყოს, და კიდეც იყო, საავადმყოფოში ეძებენ. განა არ შეეძლოთ ეკითხათ საბჭოში; სადაც იგი იმყოფებოდა, ესა და ეს საბუთები აქაა, თუ არაო. დიახ, შეეძლოთ, მაგრამ სარევიზიო კომისია ყოველთვის იქ ეძებს ხოლმე, საცა ვერას ნახავს.

ბ-ნი ემერიკი. ბატონებო, ცხადია, აქ უბრალო გაუგებლობა (недоразумѣніе) მომხდარა, თორემ...

თავ. პ. წულუკიძემ შეჰნიშნა,—დააცალეთ ბ-ნ ზდანოვიჩს ლაპარაკიო; სხვებიც ახმაურდნენ. ბ-ნ ემერიკმა აღელვებით მიაძახა თავ. პ. წულუკიძეს,—დაჩუმდითო. ამაზედ პ. წულუკიძე წამოვარდა და შეუტია. შექმნათ გაცხარებული ლაპარაკი. ხალხი ფეხზედ წამოვარდა და შემოეხვია გარშემო. ასტყდა აუტანელი ხმაურობა და ცოტა გასწყდა, კინაღამ მუშტ-კრივი და ხანჯლის ტრიალი არ შეიქმნა. როგორც იქმნა, თხუთმეტიოდ წამის შემდეგ ყველანი დამშვიდდნენ და დალაგდნენ.

ბ-ნი ზდანოვიჩი. არა, ბატონებო, სარევიზიო კომისიამ იცოდა, სადაც იყო საბუთები, ნახულიცა ჰქონდა, მაგრამ მაინც ისა სთქვა, გასამართლებელი საბუთები ვერა ვპოვეთო. რომ ეთქვათ,—ქიათურაში ვერა ვპოვეთო,—კიდევ ჰო; მაგრამ საზოგადოდ ვერა ვპოვეთო,—ეს რასა ჰგავს, რა საკადრისია?!

ცოტაოდენი ხმაურობაა დარბაზში.

თავ. ი. ნიჟარაძე. ბატონებო, თუ ჩვენ არ გიშლიდით ხელსა, როცა იმ საბრალმდებლო ოქმს კითხულობდით, ეხლა ჩვენც დაგვაცალეთ, რომ პასუხი მოგცეთ.

ბ-ნი ზდანოვიჩი. 6 თვით დააგვიანესო, როცა მხოლოდ 4 თვით დავაგვიანეთ, მაგრამ ეს იმისთვის იყო ნათქვამი, რომ უფრო მეტი ეფექტი მოეხდინა.

ის მოსამსახურენი, რომელთა წყალობითაც რაიმე წაგვიხდა, ყველანი დავითხოვეთ, არც ერთი არ დაგვიტოვებია, მაგრამ უსიამოვნობის თავიდგან ასაცილებლად ერთბაშად-კი არა, თანდათანობით, რაოდენისამე ხნის შემდეგ, რაიცა შეეხება ექიმს, ის, ალბად თვით მოგცემთ პასუხს.

ექ. ს. ჯაფარიძე. სარევიზიო კომისიის ანგარიშში აღნიშნულია, ვითომ მე 293 დღეში—169-ი გამომეტოვებიოს. ეს ყოველსავე სიმართლეს მოკლებულია. რომ კომისიის წევრთ, როგორც საზოგადოდ მიღებულია, ჩემთვის მოემართნათ, ასეთს შეუსაბამო რასმე აღარ დასწერდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ საავადმყოფოს წიგნში უმეტეს ნაწილად ფერშლებს ვაწერინებ ხოლმე კარნახით, ავადმყოფის ვინაობას, სენსა, წამალს და სხვ., მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფერშალს არა სცალია, მაგ., ჭრილობას უხვევს ავადმყოფს და წამალს უცვლის და სხ., მე თვით ჩავსწერ ხოლმე ჩემის ხელით. სარევიზიო კომისიას სწორედ ამ წიგნიდგან ამოუღია ანგარიში, რადგან უფიქრია, როცა მას ხელი უწერია, ალბად, მხოლოდ მაშინ ყოფილა საავადმყოფოშიო. რომ კომისიის წევრებს მართლა სინამდვილის გაგება ნდომოდათ, ისე მაინცა მკითხავდნენ, რას ნიშნავს ესა და ესაო. სადმე რომ მოვინდომო წასვლა, თუ ერთს დღეზე მეტი იქნა საჭირო, უსათუოდ საბჭოს უნდა მივმართო და ნება-რთვა ავიღო; უამისოდ ფეხის მოცვლა არ შემიძლია ქიათურიდგან. არამც თუ ნახევრობით არ მევლოს საავადმყოფოში, სულ ბევრი-ბევრი ასამი დღე გამოვტოვო თვეში; დამეთანხმეთ, რომ სულ მუდამ ქიათურაში ყოფნა წლითი-წლობამდე შეუძლებელია, თუ ხანგამოშვებით თითო-ოროლა დღით არსად გავიდ-გამოვიდა კაცი. არა ვგონებ, ისეთი ექიმი აღმოჩნდეს სადმე, რომელმაც იკისროს ასეთ პირობებში სამსახური.

როდესაც გზებზე ჩამოვარდა სიტყვა საბჭოს კონსულტანტმა ინჟ. მიხაილოვმა დაწვრილებით განუმარტა კრებას, თუ რამდენი შრომა და ხარჯი გასწია საბჭომ გზების გასაუმჯობესებლად. რასაკვირველიაო —სთქვა ორატორმა—გეგმა სავსებით ვერ განვახორციელეთ (მაგ. ზოგიერთ დაღმართების სიყაფრის გაერთბაშება, ან კიდევ გაგანიერება ამ და ამ გზისა ვერ მოვახერხეთო), რადგან ყოველი ეს ერთი-ორად ერთი სამად, ზოგან ერთი ათადაც მეტ ხარჯს მოითხოვდა, ვიდრე გადადებული იყო ამ საქმისათვისო.

ბ-ნი გ. ზდანოვიჩი. სარევიზიო კომისიის წევრნი თვითმართველობას მეტად ხშირად მაგალითად უყენებენ სხვა-და-სხვა სახაზინო დაწესებულებას და სხ. აი, ახლაც, ის სახელმწიფო გზა, რომელიც სამაგალითოდ მოჰყავთ, იმდენად უხერხული და უვარგისია, რომ მის დამთავრებისათანავე საერთო არზა მიართვეს მცხოვრებლებმა მთავარ-მართებელს,—სრულიად უვარგისიაო. დიახ სარევიზიო კომისია ყოველსავე სახაზინოს წინ აყენებს, თუნდაც რომ სრულიად უვარგისი იყოს იგი! სწორედ ახირებულია ასეთი მიზიდულება კომისიისა სახაზინოსადმი.

ინჟ. მიხაილოვის შრომა, რომელიც შეიცავს მადნებში მიმავალ გზების გეგმას, სიგრძით 60 ვერსტამდე, იმდენად საფუძვლიანი და საუცხოო შრომაა, რომ თვით მისი მოპირდაპირენიც-კი ქება-დიდებით იხსენიებენ. რადგან ამ შრომის უმეტესი ნაწილი უკვე დამთავრებული იყო, მეც გადავსწყვიტე სასყიდლის ნაწილი მიმეცა.

შეიძლება, რაიმე შეცდომა ჩავიდინეთ ფორმალურად, ზედ მიწევნით არ დავიცევით წესი, მაგრამ არავის არ შეუძლია სთქვას, რომ ინჟ. მიხაილოვის შრომა არ ჰღირდეს იმად, რაც მივეცით. თვით ქიათურის მარკშეიდერი ინჟ. საპიცკი გვთხოვდა,—მათხოვეთ, ქვის გამოსაზიდ გზების მოსაწყობად მაგ გეგმით ვიხელმძღვანელებო.

თუმცა ყოველივე ანგარიში აბანოს შესახებ დეკემბრის 3-ს უკვე მზად იყო და შეეძლო გაესინჯა კომისიას, მაინც ის დაუკრავს ენაზე, ნოემბერში არ იყო მზად და, თუმცა დაჟინებით ვთხოვდით, მაგრამ მაინც ვერ ველირსეთ მის ხილვასათ.

ყველაფერზედ უფრო სარევიზიო კომისია აბანოს გამო გვირისხდება; როგორ გაჰბედა საბჭომ, რომ ქიათურაში აბანოს მაგიერ მთელი სასახლე აავო და ერთი ათად მეტი ფული დახარჯა, ვიდრე კრებამ დაავალაო?

იმას-კი არავინ ამბობს, ავია თუ კარგია, თუმცა ჩვენის აზრით, ჯერ ამისათვის უნდა მიექციათ ყურადღება. თქვენაო,—ამბობენ,—8 ათასი გქონდათ გადაჭრილი და 92 ათასიკი დაჰხარჯეთო. არც ესაა მართალი; აბანო ჩვენ დაგვიჯდა მხოლოდ 34,000 მანეთი. 92,000 მანეთი რომ დავხარჯეთ, აბანოს გარდა მოვაწყეთ საუკეთესო საყინულე, გამოვიყვანეთ საუკეთესო წყაროს წყალი და მოვაწყეთ ელექტრონის განათება, და ეს ყოველივე იმ ანგარიშით, რომ გარდა მომავალ საავადმყოფოისა, რომლისათვის ეს მეტად და მეტად საჭირო იქნება, ზედ-მეტით სარგებლობა მცხოვრებთაც შეიძლონ. თუ ყოველსავე ამას ანგარიშებთ, დარწმუნდებით, რომ ჩვენ მეტად ცოტა დაგვიხარჯავს ამ საშვილიშვილო საქმისათვის.

ამ დროს ბ-ნ იოს. კაკაბაძემ რაღაც შეჰნიშნა დაცინვით ბ-ნ ზდანოვიჩს.

ბ-ნი ზდანოვიჩი. ბ-ნო კაკაბაძე, ვერ მოვკარ ყური თქვენს სიტყვებს, მხოლოდ ვხედავ თქვენს გამოურკვეველ ღიმილს.

ჰო, იმას მოგახსენებდით, აბანო, საყინულე, ელექტრონის მოწყობილობა და წყლის მილი ისე იაფად დაგვიჯდა, რომ, თუ მეტი არა, ერთი-ორად მაინცა ჰღირს.

ჩვენდა საბედნიეროდ, ისეთი კეთილ-სინიდისიერი, თავის ხელობის ზედ-მიწევნით მცოდნე, დიდად ნიჭიერი, მუყაითი და უანგარო კაცი გამოვადგა ინჟ. მიხაილოვი, რომ ეს უშველებელი და საუცხოვოდ მოწყობილი საქმე ასე იაფად დაგვისო. საბჭო დიდს მადლობასა სწირავს მას და, ბატონებო, თქვენც მადლობელნი უნდა იყვნეთ იმისა (ხანგრძლივი ტაში და ვაშას ძახილი). ნუ დაივიწყებთ, რომ თვით მის პირად მტრებსაც-კი ვერ უარუყვიათ, რომ ბ-ნმა მიხაილოვმა სწორედ საუცხოვოდ და ხელოვნურად შეასრულა ეს ვეება საქმე.

რა საჭირო იყო მუშათათვის ეს დიდებული აბანო? მე არ ვეთანხმები ჩვენს, ვითომდა ნამდვილ, მუშათა მფარველთ. ჩვენი მოვალეობაა, რაც-კი შეგვიძლია, ყოველივე მივსცეთ მუშებს.

წარმოიდგინეთ, ზოგიერთ უსახელო წიგნაკების ავტორები და მეფელეტონენი იმ ხმასაც-კი ავრცელებენ, რომ ეს აბანო ფილტვის ანთებას გაახშირებსო, ესეც-კი სათქმელია?! (ტაში).

თავ. ი. აბაშიძის წინადადებით კრებამ ხელმეორედ გადაუხადა მადლობა ინჟ. მიხაილოვს ტაშის დაკვრით.

კრება სამ საათზე დამთავრდა.

იურიდიულ საზოგადოების კრება. შაბათს, 18 იანვარს, კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას კრება ჰქონდა, რომელზედაც უნდა განხილულიყო ორი სხვა საზოგადოებისაგან გამოგზავნილი საქმენი და ს. არწრუნის მოხსენება. საზოგადოებამ მოასწრო მხოლოდ ტფილისის სამეურნეო-სამრეწველო საზოგადოებათა საგუბერნიო კომიტეტის წინადადების განხილვა, რადგანაც ამ წინადადების საგნის სივრცემ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ტფილისის სამეურნეო საზოგადოებათა საგუბერნიო კომიტეტის კრებაზედ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ. დ. მელიქიშვილმა ჩამოაგდო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ დაყორღნილი მიწები არ იქმნას ათის წლის მფლობელობის ძალით საკუთრებად მიჩნეული. კომიტეტში ხმები გაიყო: ზოგი ამის მომხრე იყო, ხოლო უმეტესი ნაწილი—წინააღმდეგი. კომიტეტმა გადასწყვიტა: ეს საგანი იურიდიულია და იურიდიულ საზოგადოებას გავუგზავნოთ განსახილველადაო. ამგვარად, 18-ს იანვარს, იურიდიულ საზოგადოებას, რომელსაც 26-მდე წევრი დაესწრო, უნდა გადაეწყვიტა, სასურველია, თუ არა, რომ დაყორღნილ მიწებს აღარ ეხებოდეს ის კანონი, რომლის ძალითაც ათის წლის მფლობელობა აძლევს კაცს ნებას დაისაკუთროს ის, რასაც ჰფლობდა.

რადგანაც ამ საგნის გადაწყვეტას მოსდევს უკვე მომქმედ კანონის გაუქმება, ამიტომაც იურიდიული საზოგადოება ამ საგანს ფრთხილად მოეკიდა და ყოველ მხრივ აწონა, როგორც პრაქტიკის, ისე თეორიის მხრითაც. პალატის პროკურორის თანაშემწემ ბ-ნმა დემერმანმა შეაგროვა ყველა საბუთი ამ საგნის გადასაწყვეტად იმ სახით, რა სახითაც სასურველად სცნო თ. მელიქიშვილმა. მისის აზრით, სენატის პრაქტიკა და კერძო კანონები, რომელიც ჰმოქმედობს კერძოდ ჩვენს ქვეყანაში, მამულების დაყორღნის დროს ხელს უწყობს ასეთის დაკანონების შეწყნარებას. ამ აზრისავე იყვნენ ექვსნი წევრნი საზოგადოებისა, რომელთა შორის ზოგმა ის აზრიც გამოსთქვა, რომ ეხლანდელი მეცნიერება ამ იურიდიულ ინსტიტუტს ვერ თანაუგრძნობს და დაძველებულად სცნობსო.

უმეტესობა-კი იმ აზრს დაადგა, რომ არ არის საჭირო კანონის შეცვლა, რადგანაც დაყორღნილი მიწები არაფრით არ განირჩევა საზოგადო ყოველ გვარ უძრავ საკუთრებისაგან და, თუ ათის წლის მფლობელობით შესაძლოა ნასყიდის მიწის დასაკუთრება, დაყორღნილ მიწის დასაკუთრებაც უნდა იყოს შეძლებული. ამ გვარად საზოგადოებამ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა, რომ დაყორღნილი მიწები არ უნდა იყოს განთავისუფლებული ხსენებულის კანონის ძალისაგანაო. კრება გადიდო 1-ს თებერვლისათვის, როდესაც საზოგადოება განიხილავს თ. ლ. ჯანდიერის მოხსენებას სამეურნეო საზოგადოებიდან გამოგზავნილს და არწრუნის მოხსენებას შესახებ სათავსო უფლებათა ახალ კანონის ძალით.

კრება გათავდა $11^{1}/_{2}$ საათზედ.

ჩვენებური ამბები

მუხური (ზუგდიდის მაზრა). 14 იანვარს, ნინოობას, რომელსაც დღესასწაულობს ზუგდიდის მაზრის ყველა საეკკლესიო სკოლები, მუხურის საქალებო სამრევლო სკოლებში გამართულ იქმნა შობის ხე. დაესწრნენ: ზუგდიდის მაზრის სკოლების მეთვალყურე, ილ. ტ. ჯოხთაბერიძე, მასწავლეები, მათი მშობლები და ბევრი საპატიო კაცი. საღამომ ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე. პატარა მოწაფეები საუცხოვოდ კითხულობდნენ ქართულ-რუსულ ლექსებს, მშვენივრად გალობდნენ, როგორც საეკკლესიო საგალობლებს, ისე საერო სიმღერებს. ბოლოს დაურიგეს მოწაფე ქალებს სხვა-და-სხვა ნივთები, რითაც ისინი უზომოდ მოხარულნი დარჩნენ.

დიდი მადლობის ღირსია მმართველი სკოლისა პელაგია ლორია და აგრეთვე ადგილობრივი სამინისტრო სასწავლებლის მასწავლებელნი ა. ცანავა და მ. ბალავაძე, რომლებმაც ბევრი იშრომეს შობის ხის და ლიტერატურულ საღამოს გამართვისათვის.

დამსწრე.

—

ლები (რაჭის მაზრა). არა მგონია, ლებისთანა უპატრონო და უმოწყალო სოფელი კიდევ სადმე მოიპოვებოდეს მთელ დედამიწის ზურგზე. „განვლო დღემ და ფათერაკმა არაო“, რომ იტყვიან ანდაზად, ზედ გამოჭრილი ამ სოფელზე ითქმის. ისე წელიწადი არ გავა, რომ ამ სოფელში რამე უკუღმართობამ თავი არ იჩინოს. სამის წლის განმავლობაში აქ სამმა „ოტკის“ დუქანმა ამორგო თავი. ესენი ცეცხლს უდებენ უმისოთაც დამწვარ-დადაგულ სოფელსა. ეს დუქნები ყოველ ღამე სავსეა ბახუსის თაყვანის მცემლითა, რომელნიც შემდეგ ქუჩა-ქუჩა დადიან, ყიჟინებენ, იგინებიან. გეგონებათ, საცოდავს სოფელს უსჯულო შაჰაბაზი შემოჰსევიაო და აოხრებას უპირებსო: „ოტკის“ სმა ლამის ჩვენებურ დედაკაცებსაც საწამლავ სენად გადაექცეს. დღემდი ჩვენებურ დიაცს რომ გზაში მამაკაცი შეხვდებოდა, სირცხვილით პირს მანდილით აიხვევდა და სხვა გზით წავიდოდა. დღეს ღვთისაგან შერცხვენებულმა „ოტკამ“ მანდილოსნებსაც დაჰკარგვინა ნამუსი და ესენიც ურცხვად შედიან დუქნებში სავაჭროდ. ამნაირად, ეს ყოვლად საზიზღარი სასმელი, ეს მართლაც და ეშმაკის საწამლავი, ეწერივით ედება მთელ სოფელსა, ათახსირებს ნივთიერად რყვნის, და ხრწნის ხალხსა ზნეობრივად და ფიზიკურად.

„ღვთის გულისათვის გვიშველეთ!
გვიშველეთ ლებელებსაო,
ისმინეთ ჩვენი ვედრება,
ისმინეთ ჩვენი კვნესაო!
„ოტკის“ მორევში ვაღრჩობით,
მარად, ნიადაგ დღესაო.
გვიხსენით ჯოჯოხეთისგან,
მიჰმადლეთ გამჩენ ღმერთსაო!

იმედია, ჩვენი მაზრის უფროსი, მათი ბრწყინვალება თავადი ლეონიძე ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ლებელების გაჯახირებულ მდგომარეობას და სულით და გულით მოინდომებს იქაურ „ოტკის“ დუქნების დაშრეტასა.

რივნის თაველი.

რუსეთი

სამოქალაქო სასწავლებლების მასწავლებელთა კრებამ, როგორც მოსკოვის გაზეთები იუწყებიან, გადასწყვიტა, შუამდგომლობა აღძრას იმის შესახებ, რომ მასწავლებელთ წელიწადში 900 მანეთზე ნაკლები ჯამაგირი არ ეძლეოდეთ. კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს აგრეთვე იმის შესახებ, რომ გადასაყვანი ეგზამენები გაუქმებულ იქმნას.

— პრუსიაში, კენისბერგის უნივერსიტეტთან, შესდგა საზოგადოება „მაქსიმე გორკი“. საზოგადოებას აზრად აქვს, შეისწავლოს რუსეთის ლიტერატურა და მსოფლიო ისტორია. საზოგადოებას თვეში ოთხი კრება ექმნება, რომელზედაც განხილულ უნდა იქმნას არა ნაკლები ორის მოხსენებისა; მოხსენებანი რუსულად იქმნება შედგენილი. უფლება საზოგადოების წევრად ჩაწერისა ყოველს სტუდენტს აქვს, თუ იმან რუსული იცის და დასწრებია ორს საზოგადო კრებას.

— გაზეთ „Уралъ“-ში გკითხულობთ: „ტრო-

---

*) თუ მიიღებდა რამე, ჩემგან უნდა მიეღო.

ისტის“ სოფლის (კაპიმლ. მაზრა) მასწავლებელი ქალის თანაშემწე დამით ბრუნდებოდა თავის ამხანაგის ბინიდგან. გზაზე შეხვდა ღვინით გალეშილი ათი ახალ გაზდა უმაწვილი, გაიტაცეს მასწავლებელი ქალი სოფელს გარედ. აქ თავისი მსხვერპლი სრულიად გააშიშვლეს და გაატიტიურეს თვითეულმა ცალკ-ცალკე. შემდეგ რამდენისამე საათის განმავლობაში სცემდნენ, აწვალებდნენ და აუპატიურებდნენ საცოდავ ქალიშვილს. მეორე დღეს საცოდავი გარდაიცვალა. დამნაშავენი გამოტყდნენ.

— 6 იანვარს კიევის ციხის ეკლესიაში წირვის დროს კატორგაში გასაგზავნ და გამასწორებელ რაზმში მყოფ ტუსაღთა შორის ჩხუბი მოხდა. ერთს თავი გაუტეხეს, ორი დასჭრეს. ეკლესიაში მყოფი საზოგადოება შეშინდა, მღვდელის დარიგებამ ამაოდ ჩაიარა. მხოლოდ პოლიციის შემწეობით მოისპო უწესოება.

უცხოეთი

საფრანგეთი. 10 იანვრის კრება ერთი უშესანიშნავესი კრება იყო, რომლის მსგავსიც ჯერ საფრანგეთის პარლამენტში არ მომხდარა. ჟორესმა პასუხი გასცა დეშანელს, რომელმაც მას სამშობლოს მოღალატე და გამყიდველი უწოდა. ჟორესი დეშანელის სიტყვას არ დასწრებია და მაშასადამე მაშინვე პასუხსაც ვერ გასცემდა. საზოგადოება-კი დიდის გაფაციცებით უცდიდა ჟორესის პასუხს, და აი, მოაწია კიდეც ამ სასურველმა დღემაც. პალატის დარბაზი ხალხით გაივსო, ასე რომ ნემსიც-კი არ ჩავარდებოდა; ჩხუბითა და დავიდარაბით ჰპოულობდნენ დასაჯდომსა და დასადგომს ადგილს. ყველა უცდიდა ჟორესის მჭერმეტყველებას.

პირველად დაიწყო სიტყვა ანტისემიტმა ლაზიმ. მან სთქვა: მემარჯვენენი მზად არიან დაივიწყონ მთავრობის საშინაო პოლიტიკა და აპატიონ შეცდომანი; რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, ჩვენ ვთხოულობთ რომ მთავრობას მუდამ გულში ჰქონდეს ეროვნობის ინტერესები და მისი ბედნიერება; საკაცობრიო თეორიებს-კი სასტიკი დევნა უნდა გამოუცხადოსო“. ამით უნდოდა ლაზის ჟორესი აელაპარაკებინა; და აი, ჟორესიც ავიდა ტრიბუნაზედ. დარბაზში გასაშტერებელი სიჩუმე და მყუდროებაა. ჟორესმა პირველად გაჰკიცხა და დაჰგმო მყვირალა პატრიოტიზმი, რომელიც სოციალისტებს ჯერ კერძო საკუთრების მტრებს უწოდებდა, ახლა-კი იგნი სამშობლოს მოღალატედ და გამყიდველად გარდაქცეულან.

„იმის ნაცვლად—განაგრძო მან,—რომ დეშანელმა გაარჩიოს და დააფასოს ჩემი შეხედულებანი, უბრალო და უკმეხ პოლემიკურ ხრიკებს მიმართა. მე არ მომდის გული მაზე—არ შეეძლო მას სხვაფერ მოქცეულიყო.

4 წელია, ჩვენ, რესპუბლიკანელნი, ვიბრძოდით სიმართლისა, თავისუფლებისა და კანონიერებისათვის; 4 წელია დეშანელი დაშორებულია და მოწყვეტილი ამ გვარს ბრძოლას. (მარცხნივ ტაშის ცემა) იქნება, შეიძლება, დეშანელი თავის გულში მომხრე იყო ამ დიდებულის დრამისა, მაგრამ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა! (ტაშის ცემა და სიცილი მარცხნივ). შეიძლება, ის ბრძოლის ველზე გაცილებით მაღლა იდგა (დრეიფუსის პროცესის დროს დეშანელი პალატის თავმჯდომარე იყო), მაგრამ ამ გვარი ქცევა ნიშნავს ბრძოლის დროს გარეშე დგომას. როდესაც დეშანელი რესპუბლიკის უმრავლესობის ზნეობაზე უქადაგებდა, თითონ დარწმუნდა და იგრძნო, რომ მას აკლდა ის ძლიერება, გაბედულობა, რომელიც შესაძლებელია მოიპოვოს კაცმა მხოლოდ განსაცდელის ატანის დროს.

შემდეგ ჟორესი გადავიდა თავის საგანზე. მან სთქვა:

ყველაზე უფრო შესანიშნავი მოვლენა დღეს არის ევროპიაში მშვიდობიანობის დამყარება. ამბობენ: ამაზე არ შეიძლება ლაპარაკი, რადგანაც ხალხის ძალას ძირს უთხრისო. მაგრამ ამაზე შემიძლია ვუპასუხო: ერის ძლიერებას ძირი ეთხრება არა ფაქტების აღნუსხვით, არამედ იმით, რომ მუდამ უჩიჩინიბენ იმ განსაცდელზე, რომელიც თანდათან შორდება ხალხს. ამ გვარად მარტო ლიტონი სიტყვით სცდილობენ ხალხს გმირობა და მამაცობა შეაყვარონ. (მარცხნივ ტაშის ცემა).

პერიკლმა სთქვა: მხოლოდ სამი რამ ასუსტებს ხალხის ენერგიას: სიცრუე, ზარმაცობა და გარყვნილობაო.

ასეა, თუ ისე, მშვიდობიანობა ჰსუფევს ევროპაში. მისი არსებობა საეჭვო აღარაა. მშვიდობიანობის დამყარებას ხელს უწყობს ორი ევროპის დიდი კავშირი. ეს ორი პოლიტიკური ჯგუფი თვალს ადევნებს ერთი მეორის მაჯის ცემას, ხელს უშლის გადამლაშებული შოვინიზმისა და ეროვნული გადამეტებული თავმოყვარეობის განვითარებას. ისინი წინამორბედნი არიან უფრო ფართო ევროპის კავშირისა.

მოწინააღმდეგენი გულ-უბრყვილო ოპტიმისტად მთვლიან. ერიდეთ-კი ვიწრო პესიმიზს. მე არ ვფიქრობ, რომ სამთა-კავშირი საფრანგეთის საზარალოდ იყოს დაარსებული (საერთო მღელვარება; მარჯვნივ ხმაურობაა, მარცხნივ ყვირილი: „აცალეთ ლაპარაკი“!).

მე დარწმუნებული ვარ, რომ გერმანიას არ უფიქრია ამ 32 წლის განმავლობაში საფრანგეთთან ომის გამოცხადება. (ისევ მღელვარება დარბაზში). ეხლა-კი სამთა კავშირმა ხმა დაიმდაბლა; გერმანიას ჩვენთან კარგი განწყობილება აქვს; იტალიაც გვიახლოვდება. რამ გამოიწვია ეს? რაშია მიზეზი? მიზეზი არის: ეკონომიური ჯიბრობა ინგლისსა და გერმანიას შორის, ლიბერალიზმის გამაგრება იტალიაში და მესამე ის გარემოება, რომ საფრანგეთში რესპუბლიკელებმა უარჰყვეს ცეზარიზმი, რომელიც შიშის ზარს სცემს მთელს ევროპას.

რაც შეეხება რუსეთთან კავშირს, მოგახსენებთ, რომ საფრანგეთი განსაცდელისა და გაჭირების დროს მარტო იცავდა თავის არსებობას; მოკავშირე-კი მაშინ გამოჩნდა, როცა საფრანგეთი გაძლიერდა და გაღონიერდა.

მილვუა. თვითეული სიტყვა თქვენი მავნებელია საფრანგეთისთვის.

ჟორესი. მავნებელია მხოლოდ ერთი რამ: შიში გულახდილად ლაპარაკისა! ყველა უბედურება აქედგან წარმოსდგება. ელზას-ლორენის საკითხი მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებით თუ შეიძლება გადასწყდეს და არა იამითა და სისხლის ღვრით. ვაკმაროთ საფრანგეთს, რაც მან სისხლი დაღვარა ელზას-ლორენის თაობაზე. ვიმედოვნებთ და გვსურს, რომ 1870 წლის ომი საფრანგეთ-გერმანიას შორის უკანასკნელი ყოფილიყოს“.

თავის მჭერ-მეტყველებით, კეთილშობილებითა და ღრმა რწმენით ჟორესმა ისე მოხიბლა და გაიტაცა მაყურებლები, რომ ბოლოს მთელი დარბაზი ტაშს უკრავდა და აღფრთოვანებული იყო. პალატამ 453 ხმის უმეტესობით 57 წინააღმდეგ სრული ნდობა გამოუცხადა მთავრობას. ეს ახალი და მეტად დიდებული ტრიუმფია რესპუბლიკის მთავრობისათვის. ამბობენ გამბეტას შემდეგ საფრანგეთის პალატაში არ სმენიათ ჟორესის სიტყვების მსგავსიო.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

18 იანვარი.

სტამბოლი. ხმა, ვითომ ოსმალეთის მთავრობამ უკანვე დაიბარა სოფიიდგან თავისი კომისარი, მართალი არ არის; ის სტამბოლში მოვიდა მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობისათვის მოეხსენებინა ბულგარიაში საქმეთა მდგომარეობისა და მაკედონიის საქმეების შესახებ და ისევ დაბრუნდა სოფიაში.—მონასტირის ვილაიეტის ქალაქ რესნში დააპატიმრეს მაკედონელთა კომიტეტის შიკრიკი; მას უნახეს ცირკულიარები, რომელთა განხილვის შემდეგ სხვებიც დააპატიმრეს.—მსოფლიო პატრიარქმა ეპისტოლე გაუგზავნა მაკედონიის მიტროპოლიტებს, რომლითაც ურჩია ერიდონ შინაურ განხეთქილებას.—იემენში არაბთა რამდენიმე ტომი ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა; სულთანმა ბრძანა აჯანყებულთა დასამშვიდებლად ჯარები გაიგზავნოს.

ჰონკონგი. აქა და კანტონში რამდენიმე კაცი დაატუსაღეს, აშ გარამდებას უკავშირებენ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობას, რომელიც ეხლახან აღმოაჩინეს. მთავრობამ იარაღიც ჩაიგდო ხელში. დიდ უწესოებას არ მოელიან.

ლონდონი. „რეიტერის“ სააგენტო იტყობინება, რომ ვენესუელას სადამოჟნო შემოსავლის 30%-დან დარჩენილი ფული მოხმარდება სხვა სახელმწიფოთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. გერმანიისა, ინგლისისა და იტალიის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება დაახლოვებით ექვსის წლის განმავლობაში.

ნიუ იორკი. „მორნინგ პოსტ“-ი იტყობინება, ნიაგარის ჩანჩქარის საელექტრონო სახელოსნოები დამწვარა.

ვენა. პალატამ მიიღო ბრიუსსელის შაქრის კონვენცია

რომი. პალატაში ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრმა განაცხადა, რომ წარმოადგენს პროექტს რომსა და ამერიკის შუა უმავთულო ტელეგრაფის სადგურების აგების შესახებ.

პალატამ მიიღო ბრიუსსელის კონფერენციის შაქრის კონვენცია

პარიჟი. ზღვათა მინისტრმა დეპეშა მიიღო, რომლითაც ატყობინებენ, ჯავშნიანი გემები „გოლუა“ და „ბუვე“ ვარჯიშობის დროს ერთმანეთის დაეტაკნენო.

19 იანვარი.

მოსკოვი. კურსკის რკინის გზის სადგურ ზმიევკაზე მგზავრთა მატარებელი საქონლის მატარებელს დაეჯახა; დაიმსხვრა თერთმეტი საქონლის ვაგონი. უბედურება არავის შემთხვევია.

პარიჟი. პალატამ შეიწყნარა წინადადება, რომ ტერიტორიალურ ჯარში დარჩეს ისევ სავარჯიშოდ 30 დღით გამოწვევა ვადა-გათავებულ ჯარის კაცთათვის; წინადადება იმის შესახებ, რომ მოსპობილ იქნეს და აგრეთვე იმის შესახებ, რომ 28 დღემდე შემცირდეს ეს ვადა, მინისტრის წინადადებით კომისიას გარდაეცა განსახილველად.

მიტავა. ბალტიის მხრის ზოგიერთ ადგილებში პურის ნაკლებობაა. საჭირო შეიქმნა შემოწირულებათა მოგროვება. ადმინისტრაცია მზრუნველობს თესლის მოპოებისათვის ხალხში დასარიგებლად.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს“ გაუგია, რომ ვენესუელას საქმეთა გამო მოლაპარაკება კარგად მიდის და მალე დამთავრდება.

ვაშინგტონი. „რეიტერის სააგენტო“ უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომ მოკავშირე სახელმწიფოებმა პასუხი გაჰგზავნეს ბოუენის უკანასკნელს წინადადებაზედ. თუ ბოუენის წინადადება უარ-ყოფილ იქმნა, იგი შეატყობინებს სახელმწიფოებს, რომ მათი ინტერესები ვენესუელაში საშიშ მდგომარეობაშია; მაშინ საფრანგეთი პროტესტს გამოუცხადებს ინგლისს, იტალიას და გერმანიას; საფრანგეთს ალბად, შეერთებული შტატებიც მიემხრობა.

კატანია. სოფელ მილოში მიწის ძვრა იყო. მიწის ძვრა იგრძნეს აგრეთვე ასირვალსა და კატანიაში.

ბრიუსელი. გარეშე საქმეთა სამინისტრომ წარუდგინა ნიდერლანდიის მთავრობის განცხადება შაქრის კონვენციის დამტკიცების შესახებ.

ვენა. ზედა პალატამ მიიღო ბრიუსელის კონვენცია და ორივე პროექტი შაქრის შესახებ.

პარიჟი. პალატა არჩევს სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტს. მომხსენებელი მოჟანი ამბობს, რომ საფრანგეთი უარს არა ჰყოფს არც ერთ თავის მოთხოვნას და აღნიშნავს, რომ ჟორესის განმარტებამ ბოლო უნდა მოუღოს მის შესახებ სხვა-და-სხვა ბრალდებას. მოჟანი დასძენს, რომ ძლიერი მხედრობა საუკეთესო გარანტია არის დემოკრატიულის რესპუბლიკისათვის. „ჩვენ გვყავს ეხლა პირველი ხარისხის მხედრობა სათადარიგო ჯარებით, რომელთა რიცხვი გერმანელთა ჯარებს უდრის. ჩვენ უნდა გვყავდეს ჯარი იმის მიხედვით, თუ რამდენი დაგვჭირდება ომიანობის დროს“. მომხსენებელი მიმართავს პალატის პატრიოტიზმს მხედრობის რეორგანიზაციის საქმეში (ტაშის ცემაა). ის ჰფიქრობს, რომ სამხედრო სამსახურის ორის წლის ვადა მხედრობას გააძლიერებს და საფრანგეთისთვის საჭიროა (ტაშის ცემაა).

პეტერბურგი. 17 იანვარს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა რუსეთის წარმომადგენელი სოფიაში ბახმეტიევი.

სტამბოლი. ოსმალეთის ცნობებით, ოხრიდის ოლქში ჯარებს შეტაკება მოუვიდათ დიდ ბრბოსთან, რომელიც ბოლოს გააქციეს.

პეტერბურგი. 18 იანვარს, ტანთსაცმელის საერთაშორისო გამოფენა დაათვალიერეს დიდმა მთავრინებმა ქსენია ალექსანდრეს ასულმა, მარიამ გიორგის ასულმა და დიდმა მთავარმა გიორგი მიხეილის ძემ.

20 იანვარი.

პარიჟი. ტანჟერიდან იუწყებიან, სულთანის ჯარმა სამხედრო მინისტრის მეთაურობით დაამარცხა ტახტის მაძიებლის ჯარი და ტყვებიც წაიყვანაო.

კიევი. გარდაიცვალა მილიონერი ქველმოქმედი ნიკოლოზ არტემის ძე ტერეშჩენკო.

მოსკოვი. დაარსდა ბავშვთა საავადმყოფო. შენობის ასაგებად ვ. ე. მოროზოვამ 400,000 მან. შესწირა.

ურალსკი. მეთევზენი, რიცხვით 112 კაცი, რომლებიც ზღვამ წაიღო ყინულით გაადარჩინეს.—გაზეთი „ურალეცი“ ყოველ დღე გამოდის.

რომი სენატმა 65 ხმით 18 წინააღმდეგ მიიღო ბრიუსელის კონვენცია შაქრის შესახებ.

სოფია. მთავარი ფილიპოპოლში წავიდა და დაესწრო მთავრინას პანაშვიდს.—სახალხო საკრებულოში მორიგი კითხვა—საფოსტო კონვენციის შეკვრაა სერბიასთან.—აგროვებენ შემოწირულებას დახოცილ რუსის ჯარის კაცთა ნიშის-ძეგლის ასაგებად, სახალხო დასის მეთაურმა გეშოვმა 30,000 ფრანკი შესწირა ამ საქმისთვის.

სტამბოლი. წარსულს 2 იანვარამდე ბალკანეთის სახელმწიფოთ სერბიასთან უნდა შეეკრათ სავაჭრო ხელშეკრულებანი; ეს ვადა გაგრძელებულ იქმნა 2 მარტამდე.

პეტერბურგის ბირჟა, 17 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,85 ?
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,85
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98 წვ. გაყ. ?
4% სახ. სესხი 1902 წ.	100¼ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94¾ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	464½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	374½ გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	310½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	— 90⅝ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,,კასპიის ამხანაგობისა	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	392½ წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	194 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) — დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 მ.). წა

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში 25 იანვარს დანიშნულია განსახილველად:

1) დავა მ. შალამბერიძისა და პ. დადიანისა.
2) დავა გ. შანიძისა და ი. ძნელაძისა.
3) დავა ი. გაბაშვილისა და ი. ერისთავისა.
4) დავა ს. გულუასი, მ. ქუთათელაძისა და დ. ძნელაძისა.
5) დავა ტ. რონაძისა და კ. გოცირიძისა.
6) დავა ს. თევდორაშვილისა და ნ. ვარდიაშვილისა.
7) დავა თ-დ პ. დადიანისა და პ. ტოლორდავასი.

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფოთის ქალაქის გამგეობისაგან.

ფოთის ქალაქის გამგეობა ამით იუწყება საყოველთაო საცნობლად, რომ შაბათს, 22 თებერვალს ამა 1903 წლისას, დილის 12 საათზედ, გამგეობის სადგომში დანიშნულია საბოლოო ვაჭრობა პირად დასწრებითა და დაბეჭდილ განცხადების წარმოგზავნითაც ქალაქის დაგეგმილ თორმეტის ნაჭრის გასასყიდად. ეს მამულის ნაჭრები სანავთსადგურო ქალაქ ფოთის ზღვის ნაპირის ქუჩის პირად მდებარეობს, მე-XXXII უბანში და აღნიშნულია ნომრები: 1164, 1165, 1166, 1167, 1168, 1169, 1170, 1171, 1172, 1173, 1174 და 1175, ზომით 109—196 ოთხკუთხ საჟენამდე თითოეული. ეს ნაჭრები ისყიდება იმ პირობით, რომ მყიდველისთვის სავალდებულოა ააგოს ზედ ქვიტკირის შენობანი და დაჰხუროს დაწვისაგან უზრუნველ სახურავით. თუ ვინიცობაა, მსყიდველმა ეს პირობა არ შეასრულა, ნაჭრები მამულისა ჩამოერთმევა მსყიდველს და ქალაქის საკუთრებად დაიდება. ამასთანავე, მსყიდველნი, არა თუ ჰკარგავენ უფლებას შენობათა აგებისას იმ მამულზედ, არამედ იმ ფულსაც, რომელიც შეტანილი ექმნებათ მამულის სასყიდლად. ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა, მოვალეა შეიტანოს საწინდრად ოცი პროცენტი მამულის ფასისა. დანარჩენი ნაწილი ფასისა უნდა წარმოადგინოს ვაჭრობის შემდეგ ერთის თვის განმავლობაში. როცა მთელს ფასს გადიხდის ნაჭრისას მყიდველი, მიეცემა დროებითი მოწმობა იმისი, რომ შეიძინა უფლება მამულზედ შენობათა აგებისა. ხოლო, როცა სავალდებულო პირობას შეასრულებს და შენობას ააგებს, მსყიდველი მამულისა მიიღებს ნასყიდობის ქაღალდს (данная) მამულის სრულის საკუთრებისას. ვაჭრობა დაიწყება ორ მანათიდგან თითოეულს ოთხ-კუთხ საჟენზედ. (3—6—3)

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოების

1) **ბუნების ცოდნა**, თხუზულება პოლ ბერისა, თარგმანი პეტრე სურგულაძისა, 26 სურათით, ფასი 25 კაპეიკი.

2) **ასპინძის ომი**, ისტორიული ამბავი საქართველოს წარსულიდან, იაკობ გოგებაშვილისა, მესამე, შევსებული გამოცემა, მეფე ერეკლეს ორი პორტრეტით დ ახალციხის მხრის ქარტით. ფასი შვიდი კაპეიკი.

3) **თავდადებულნი ქართველნი**, მისივე, მეორე გამოცემა. ცხრა სურათით, ფასი შვიდი კაპეიკი.

ვინც ათობით იყიდის ამ ორს უკანასკნელს წიგნაკს, თითო ცალი დაეთმობა ექვსს კაპ., ვინც ოცობით წაიღებს, იმას შაურად მიეცემა.

6—3.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи,		
ეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჭუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენებას ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბა[illegible]ონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
ჭაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50
И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н Марра	3	

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 января 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасам… Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაზიშვილი.